ტელეფ. 6-60 წელიწადი 1914 მეოთხე ტელეფ. 6-60

ორშაბათი, 21 აპრილი, № 172

თეთრი

ორშაბათი, 21 აპრილი, № 172

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ., 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პატარა სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის წინასწარ—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები, რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 ц. Цiасамидзе, ხელისმოწერა და განცხადებანი მიღება, აქვე კვირა-უქმე დღეებს გაიცემა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

კავკასიის

სავაჭრო-სამრეწველო ბანკის

საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად ბანკის აქციონერთა დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებისა,

ბანკი დაარსდება ქალაქ ტფილისში და მისი განყოფილება ქ. ბაქოში (განყოფილებანი სხვა ქალაქებში შემდეგ გაიხსნება), თითო აქცია ღირება 250 მან. და წინასწარ უნდა იქნას შემოტანილი ყოველ აქციაზე 26 მან.

ხელისმოწერა აქციებზე დანიშნულია აპრილის 21-დან 30-მდე ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის.

ტფილისში—სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა სახ. სარაჯიშვილისა) ბანკის თავმჯდ. დ. ე. ჩოლოყაშვილთან, ს. ილ. ფორაქაშვილთან და პ. ალ. გოთუასთან. ბაქოში—ნავთის მრეწველის ნ. ი. ჯაყელის კანტორაში, (ოლგის ქ. № 5). ბ. ქავთარაძესთან, ზუგდიდში—საურთიერთო ნდობის ბანკში, ბანკის თავმჯდ. ბ. ბახტაძესთან. სამტრედიაში—საურთ. ნდობის ბანკში, გამგეობის თავმჯ. ბ. სტურუასთან, თელავში—საზოგ. „კახეთის“ კანტორაში, სენაკში—

ვისაც აქციების შეძენა ჰსურს, ხელი უნდა მოაწეროს დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილებში და მიიღოს კომიტეტისაგან შესაფერი ორდერი, რომელთან ერთად **უნდა წარადგინოს თითო აქციაზე 26 მან.** (ერთი (!) მან. ბანკის მოსაწყობ ხარჯებზედ და 25 (ოცდა ხუთი) მან. აქციის 10%). **ტფილის. სახელმწიფო ბანკის კანტორაში** (სხვა ქალაქებში სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში, ან ხაზინაში—ტფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში გამოსაგზავნად), სადაც კომიტეტის სახელზედ გახსნილია **ცალკე-მიმდინარე ანგარიში, № 632** სავაჭრო-სამრეწველო ბანკისათვის წინასწარ შემოსატანი ფულის მისაღებად.

ვინც აქციებზე უკვე მოაწერა ხელი, აღნიშნულ ვადაზე უსათუოდ უნდა ორდერები მიიღონ და ფული სახელმ. ბანკში, ან ხაზინაში შეიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქციები დაეთმობათ იმ პირთ, ვისაც ხელი არ მოუწერიათ. **აქციის დანარჩენი ფული** უნდა შემოტანილ იქნას: მეორე ნაწილი (40%)—თითო აქციაზედ 100 (ასი) მან. ამა წლის სექტემბრის შემდეგ და მესამე ნაწილი (50%) -თითო აქციაზედ 125 (ასოცდახუთი) მან. ბანკის გახსნის შემდეგ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

ბანკის დამფუძნებელნი:

ქ. ბაქოდან:
1. მანსვეტაშვილი ი. ა., ნავთის მწარმოებელი
2. მუხთაროვი მურტუზა ალა ნავთის მწარმოებელი.
3. ჯაყელი ნ. ი., ნავთის მწარმოებელი.
4. თუმანიშვილი თ. დ. ლ. ალ., გამგე გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ნავთის წარმოებისა.
5. ბოსტაგანიშვილი ა. ი., ვაჭარი.
6. ხოშტარია ა. მ., ხე ტყის მწარმოებელი.
7. მამულაიშვილი ლ. ქ. ბაქოს ნოტარიუსი.

თბილისიდან:
8. ხარაშვილი ილ. მიხ., ვაჭარი.
9. ფორაქაშვილი ს. ი., ვაჭარი.
10. კვეზერელი-კოპაძე ი. ნ., ვაჭარი.
11. სესიაშვილი ნიკ. მ. ვაჭარი.
12. ძეგველიშვილი ალ. მიხ. თევზის მრეწველი.
13. სვანიშვილი ივ. ზ., შავი ქვის მწარმ.
14. წერეთელი სამ. მ., შავი-ქვის მწარმოებელი.

ქუთაისის გუბერნიიდან:
15. ბარაბაძე ნეს. ს., ვაჭარი.
16. გოკიელი პტერ. ი., ვაჭარი.
17. იაკობიშვილი შ. შ., ვაჭარი.
18. რიტინაშვილი რ. ელ., ვაჭარი.
19. საბაშვილი ნ. ა., ვაჭარი.
20. ქავთარაძე ა. ლ., ფოთის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე.

ფულის გამოგზავნა ფოსტით შეიძლება ამ ადრესით: **Тифлисъ, Сельскох. Банкъ. Предсѣд. прав. кн. Дмитрію Эрастовичу Челокаеву.**

ადრესი ტელეგრამისათვის: **Тифлисъ, Кавказбанкъ.**

მისამართი მთავარი ბიუროსი: ტფილისი, სამეურნეო ბანკში სასახლის ქ., სახ. სარაჯევისა

კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

გრიშაშვილის საღამო

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 23 აპრილს, 1914 წ. გაიმართება საყურადღებო სალიტერატურო, სამხატვრო და სამუსიკო.

საღამო-მეჯლისი

1) ლექცია, 2) ქართული ოპერეტკა, 3) დივერტისმენტი, 4) ცოცხალი სურათები, 5) საკონცერტო განყოფილება.

I

ბერეზანტი ძიძოძე წაიკითხავს: **„პოეზია და სინაზდვილე“**

II

ტასო აბაშიძის, დ. მგალობლიშვილისა სხვ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულად ოპერეტკა

ქორწინების წინ

მხიარული ოპერეტკა 1 მოქ. მუსიკა ჟონნასი, თარგ. **ვასო აბაშიძ სა.** ორკესტრი „ახალი კლუბისა“ ბ. ბ. **ფალიაშვილის** ლოტბარობით.

III

მოთხრობები, ლექსები, ესკიზები და შარჟები.

მონაწილეობენ: **ქ-ნი ნინო ორბელიანი.** ილ. ელეფთერიძე, კ. მაყაშვილი, თაგუნა იოს. მაჭავარიანი, კ. ჯაფარიძე, ირეთელი, ალ. იმედაშვილი, ნ. ერისთავი, და ი. გრიშაშვილი.

IV

ცოცხალი სურათები

ალ. ყაზბეგის „ელისოდანა“, დასიგავს **ალ. წულუკიძე.** მონაწილეობენ: სახალხო სახლის სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი.

V

საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობენ: დ. აკოფაშვილი, ოსიკო ბარათაშვილი, ქ-ნი ა. აღლაძე, დ. ლექავა, კ. ცხომელიძე, ი. საღირაშვილი, **ტრიო** (ნ. კავსაძე, ნ. ჩაგუნავა და ვ. ჩეკურაშვილი) დასასრულ **ვ. აბაშიძე** და ნ. გოცირიძე იმღერებენ „ვაი-ვუის“ ხმაზე ახალ, საამდროვო კუპლეტებს. ◆ დაწვრილებით პროგრამებში. ◆ დასაწყისი საღამოს სრულ $8^1/_2$ საათზე. აკომპანიმენტს დაუკრავს: **ს. სტრახოვ-სალავიოვისა.** **ადგილების ფასი ჩვეულებრივია** (პარტ. 50 კ.-დან 3 მ.-დე გალერ. 20 კ. 40 კ.) ბილეთები ამ თავითვე იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

ოქტაკლასიანი კერძო სასწავლებელი

კნ. ანასტასია ლევანის ასულ ჩერქეზიშვილისა

მოწაფეების მიღება გრძელდება ორთავ მოსამზადებელ განყოფილებებში და I, II, III და IV კლასებში. გამგის ნახვა ყოველდღე 9—2 საათ.

ალექსეევის ქუჩა 17.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

ორშაბათს, 21 აპრილს 1914 წ.

სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ◆ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი

ახალი სტამბა

— ქუთაისში —

სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან—ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე ზომიერ ფასებში.

ექ. ვახტაგ დ. ღამბაშიძის

სანატორიუმი

„პატარა-ცემი“

◆ ◆ ბავშვებისათვის 8-15 წლამდე. ◆ ◆

დაწვრილებით ცნობები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ

მასამართი: თბილისს, უქმ ვ. ღამბაშიძეს.

ქართული თეატრი

ორშაბათს, 21 აპრილს 1914 წ. იშვიათ და საინტერესო საღამოს გამართავს

მათე იანქოშვილი

შემდეგი პროგრამით

განყოფილება 1

მავთულიან და უმავთულო ტელეგრაფის შესახებ ქართულად ლექციას წაიკითხავს **მ. მათე იანქოშვილი** ზოგიერთა მანქანათა აღსნით.

განყოფილება 2

პირველად წარმოდგენილი იქნება ახალი ორიგინალური ტრანსფორმატიული კომედია

გაჭირებული ადვოკატ

თხზულება მათე იანქოშვილისა.

მომქმედნი პირნი: 1. ადვოკატი კახელი 2. ლაქია ადვოკატისა იმერელი 3. სახლის პატრონი ადვოკატისა სომეხი 4. ოფიცერი მეზობელი ადვოკატისა რუსი 5. სამსახურს გარეშე მყოფი მოხელე ლოთი, კლიენტი 6. გლახა 7. სტუდენტი ძმა ადვოკატისა 8 მზვარეული ადვოკატისა ოსი

ყველა აქ ჩამოთვლილ რვა მოქმედ პირთა როლებს შეასრულებს ერთი პირი, თვით ავტორი, რომელიც 15-ჯერ იცვლის ტანსაცმელს და გრიმს, თან სხვადასხვა სამუსიკო საკრავებზედ დაუკრავს, იმღერებს და იცეკვავებს.

განყოფილება 3.

1. დეკლამაცია 2. სცენები 3. უსიტყვო სცენები 4. საიდუმლო მუსიკა 5. უძნელესი მუსიკა ანუ ლეკური ზურგზედ ცეკვით

ყველა ამაებს შეასრულებს მათე იანქოშვილი,

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ◆ ◆ ბილეთები ორშაბათს კვეგზავნება და ისყიდება თეატრის კასსაში.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

პარასკევს, 25 აპრილს 1914 წ.

ჩვეულებრივი

სინემატოგრაფიული სურათება

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

თბილისი, 21 აპრილი.

შესრულდა მთელი საუკუნე მას შემდეგ, რაც დაიბადა ერთი ჩვენი დაუვიწყარი მოღვაწეთაგანი—**დიმიტრი ყიფიანი.** საუბედუროდ, დღესაც არა გვაქვს ხეირიანად შესწავლილი მისი საქმიანობა.

ერთად-ერთი მწერალი, რომელიც შეეხო დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობას კრიტიკოსის თვალით, იყო არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც თავის გამოკვლევაში საბუთიანად დაახასიათა ღირსეული მოხუცი. ეს ბიოგრაფია—გამოკვლევა მაინც უნდა გამოეცა წერა-კითხვის საზოგადოებას ამ დღისათვის.

სწორედ გასაკვირალია ჩვენი ამბავი! როცა საზოგადოებაში ინტერესია გაღვიძებული რომელსამე პირისა ან ამბისადმი, ჩვენ სრულებით გაყუჩებული ვართ და არაფერს ვაკეთებთ, რომ ოდნავ მაინც დავაკმაყოფილოთ საზოგადოების ბუნებრივი ცნობის-მოყვარეობა. ჯერ კიდევ წარსულ წელს 19 აგვისტოს ვუთითებდით ხსენებულ დაწესებულებას ივერსა გამოცემაში ამ გამოკვლევის ცალკე დაბეჭდვის საჭიროებაზე. ამ ჩვენმა ცდამ ტყუილაუბრალოდ ჩაიარა.

ამ უყურადღებობაში საოცარი ის უფროა, რომ დიმ. ყიფიანის ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერის გამოცემით ზარალს კი არა, მოგებას ნახავდა გამომცემელი. ამის თავმდებია სახელი როგორც თვით მოღვაწისა, ისე მის ბიოგრაფისა.

და აი ამ კანონიერ მოთხოვნილებას ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ სრულებით არ გაუწია ანგარიში!.. რომ გამოცემულიყო თავის დროზე ეს ნიჭიერად დაწერილი ბიოგრაფია, მაშინ, რასაკვირველია, საზოგადოებაც მიუდგომელ და ნამდვილ სურათს იხილავდა განსვენებულ მოღვაწისას.

დიმ. ყიფიანი დიდი, მეტად დიდი პიროვნებაა როგორც თავის მედგარი შეუპოვარი ხასიათით, ისე მოქმედებით. ჩვენ ვიცნობთ დიმ. ყიფიანს უფრო როგორც მისი მოღვაწეობის მეორე ხანაში მომქმედს. მისი მოღვაწეობის პირველი ხანის შესახებ თითქმის არა ვიცოდით-რა, სანამ არ გამოვიდა ყოვლად საყურადღებო გამოკვლევა პრივატდოცენტ სვ. ავალიანისა საქართველოს გლეხთა განთავისუფლების შესახებ.

ბევრს უკვირს, რომ ისეთმა დიდებულმა მოძრაობამ როგორიც იყო გლეხთა განთავისუფლება, არ დაჰბადა ჩვენშიაც ისეთივე აღფრთოვანება განათლებულ წრეებში, როგორც, მაგ., რუსეთში. ეს ადვილად ასახსნელია, ეს განათლებული წრეები ეკუთვნოდნენ უმაღლეს წოდებას, რომელსაც მაშინ დიდი ძალა ჰქონდა. დიდი უნარი, დიდი შორსმჭვრეტელობა სჭირდებოდა მაშინდელ განათლებულს პირს, რომ გადელახა აზროვნებასა და მსჯელობაში წოდებრივობის საზღვრები.

სხვა წოდებას კი ჯერ არ ჰქონდა საშუალება თავი ეჩინა.

რამდენად იყო ძლიერი თავად-აზნაურული აზროვნება, ეს, სხვათა შორის, ნათლად იქიდანაც სჩანს, რომ ისეთი ძლიერი და ნიჭიერი პიროვნებაც კი, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი, მან სრულიად დაიმონა. უნდა გადიკითხოთ იმდროინდელი მასალა, რომ განცვიფრდეთ, თუ რანაირ თავისთავის მხსნელად სახავდა თავზარდაცემული თავადაზნაურობა იმ კაცს, რომელსაც მის ნიჭთან და მიმართულებასთან შეფარდებით სულ სხვა ასპარეზი უნდა ჰრგებოდა.

დიმ. ყიფიანი ჩვენ თავად-აზნაურობის ვეკილად კი არ უხდა გვეხილა, არამედ გლეხთა განთავისუფლების მთავრობის და თავადაზნაურობის პროექტების ულმობელ კრიტიკოსად. დიმიტრი ყიფიანისთანა პირები ილიასთანა მოღვაწეებს რომ გვერდში ამოსდგომოდენ, ჩვენ სულ სხვა სურათს ვიხილავდით დღევანდელ აგრარულ ურთიერთობისას. მაგრამ ილიასთანა მოღვაწეები გლეხთა განთავისუფლების დროს განმარტოებულნი იყვენ და მათ ისეთი უსიამოვნება მოელოდათ, როგორც ილიას. გავიხსენოთ ამბავი მოთხრობილი ყველასაგან ცნობილ სიმართლისმოყვარულ ქრისტეფორე მამაცაშვილისაგან, რომელმაც დაგვიხატა სურათი, თუ როგორ იწია ილიაზე ხანჯლით ერთმა განრისხებულმა „კეთილშობილმა“.

მაშინ დიმ. ყიფიანიც უეჭველია, ილიასავით მთავრობის პროექტზე ისეთ კრიტიკულ შენიშვნებს დასწერდა, რომელსაც სვ. ავალიანი უწოდებს **შესანიშნავს.**

მაგრამ დიმ. ყიფიანმა არჩია სხვა გზა. ის განიმსჭვალა თავად-აზნაურობის ინტერესებით და გამოსთქვა აზრი, რომ გლეხები უნადელოდ განთავისუფლებულიყვნენ.

დიმ. ყიფიანი ამ წერტილზე რომ შეჩერებულიყო, ის დიმიტრი ყიფიანი არ იქნებოდა, როგორადაც ეხლა ესახება ბევრს ჩვენგანს.

მან, თუმცა, არ დასტოვა ძველი გზა თავად-აზნაურობის ვეკილობა და მონარქიზმის ტრფიალი,—მაგრამ მედგრად დაიწყო ზრუნვა ქართულ კულტურის აღორძინებისათვის.

დაარსება სათავად-აზნაურო ბანკისა, რომლის მოგება უნდა მოხმარებოდა კულტურულ და განმანათლებელ საქმეს, წერა-კითხვის საზოგადოებისა, ქართულ დრამატ. საზოგადოებისა და ბევრ სხვა დაწესებულებისა—ყველა ეს მაღლა აყენებდა დიმ. ყიფიანის პიროვნებას ჩვენი საზოგადოების თვალში.

გარდა ამისა, არ ყოფილა არც ერთი უმწეოდ დარჩენილი, რომელსამე დავაში ჩაფლული კერძო პირი, რომ მისთვის არ მიემართნა რჩევის საკითხავად ან თავის მედიატორედ ასარჩევად.

ყველა ამ გარემოებამ დიდი სახელი და ავტორიტეტი შესძინა დიმიტრი ყიფიანს.

გარემოებას და ზოგიერთებს ხელი რომ არ შეეშალათ, დიმ. ყიფიანი სულ სხვაგვარად მოაწყობდა ჩვენი საადგილმამულო ბანკების საქმიანობასაც: მამული პატრონს არ დაეკარგებოდა და, თუ მაინცა და მაინც ამ მამულს იგი მიატოვებდა, მამული უსათუოდ გადავიდოდა მკვიდრ მიწადმომქმედის ხელში.

როდესაც დიმ. ყიფიანი დარწმუნდა რომ თანამშრომლობა ბიუროკრატიასთან შეუძლებელი გახდა ქართველ მოღვაწისათვის, იგი გაშორდა ბიუროკრატიულ ასპარეზს. ბოლოს იგი იძულებული გახდა ხმა აღემაღლა ქართველი ერის სასარგებლოდ და ერთს გაკადნიერებულ უცხო მგმობელისათვის საკადრისი პასუხი მიეცა.

ამ ამბავმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია თავის დროზე. ყველას უკვირდა, რომ ადამიანმა, შეძლებულ წრიდან გამოსულმა და მრავალნაირად მთავრობისაგან დაჯილდოებულმა, გაბედა და შესაფერად დაახასიათა თავის სამშობლოს მტრების საქციელი.

მაგრამ ესენი მაღლად შურისძიებას აწყობდენ. მოახერხეს მისი გაძევება. ბოლოს სტავროპოლიდან, სადაც მას მიჩენილი ჰქონდა ბინა, მოულოდნელად მოვიდა ამბავი—დიმიტრი ყიფიანი მოჰკლესო. ელვის სისწრაფით მოედო ეს ამბავი მთელ საქართველოს. საზღვარგარედაც აღნიშნეს.

ხალხის ხმამ ეს საზარელი ამბავი სხვაფრივ ახსნა და შიურინა მოღვაწეს როგორც სამშობლოსათვის შეწირულ მსხვერპლს, სახელი **მეორე დიმიტრი თავადადებულისა.**

რა თქმა უნდა, იგი თავის აზროვნებით და მოქმედებით ეკუთვნის ძველ საქართველოს, მაგრამ ახალსაც ჰმართებს მისადმი ღირსეული პატივისცემა.

ახალმა საქართველომ შეიწირა მისი სისხლი. ჩვენი დრო სხვა დროა.

ის მოითხოვს, რასაკვირველია, სხვა საქმიანობას და მრავალ მსხვერპლს: დღესაც ბევრი გმირულად კვდება. მაგრამ ის პირველი ზვარაკი იყო შეგნებულ ძველ ქართველ მოღვაწეთა წრეში.

ნუ დავივიწყებთ მას და განვაგრძოთ ჩვენი საქმეც...

კონსტ. ბალმონტი

რუსის წარჩინებული მგოსანი კონსტანტინე დიმიტრის-ძე ბალმონტი დაიბადა 1867 წ. მშობლები მისნი ეკუთვნიან ვლადიმერის გუბერნიის თავადაზნაურობას; წინაპრები კი გამოსულნი არიან სკანდინავიიდან. მამა მისი იყო ქ. შუის საერობო გამგეობის თავმჯდომარე, დედა კი ეკუთვნოდა ლიტერატორ ლებედევის ოჯახს. აი რას ამბობს თავის თავის შესახებ კ. ბალმონტი პოეტურად დაწერილ ავტობიოგრაფიაში: „მე დავიბადე და გავიზარდე სოფელში, მიყვარს სოფელი და ზღვა, სოფელში ვეკრეტ ბაწია სამოთხეს, ქალაქი მძულს, როგორც ადამიანთა მონური შეჯგუფება, როგორც მრავალთვალიანი ვეშაპი. მაგრამ, დიდ ქალაქებში დიდი თავისუფლებაა და დამთრობელი ბანგი, რომელიც უკვე შემეპარა გულში და რომელიც, „მიყვარსა და მძულს, მძულსა და მიყვარს“. ჩემი სამშობლო—სოფელი, გუმნიშჩია, შუის მაზრისა, ვლადიმერის გუბერნიისა: მე დავიბადე შუალამ.სას 1867 წელს, როცა თავდებოდა 3 ივნისის ზაფხულის წმინდა ღამე და იწყებოდა 4 ივნისის დილა. როდესაც გავხდი ხუთი წლისა, ჩემს შეგნებაში უცებ გამიელვა რაღაც დაუვიწყარმა წამმა: მე ვიგრძენი ჩემი თავი ჩემდათავად. მას აქეთია, ჩემს შიგნით, აღარაფერი მეცვლება. იცვლება ზამთარი, გაზაფხული, მაგრამ ის კი არა, რაც ჰქმნის და სცვლის ნამდვილ ადამიანს. ჩემი მშობლები—კეთილი ჩვილი გულის ხალხია, იმათ არასოდეს არ გაულაშქრნიათ ჩემი გულის წინააღმდეგ და მე გავიზარდე ბაღში ყვავილებში, ხეებსა და პეპელებს შორის. ჩვენს ადგილებს არის ტყეები და ჭაობები, ლამაზი მდინარეები და ტბები, ნაპირებზე ისლ, ამართული, ჭაობის ზამბახები, ტკბილ, სუნთქავს ნეგო, ღამის იანი ყველას აჯადოებენ, ოქროსღილა, ცოცხანა, ბუმიხაკა, ჩაწყობილა, უცნაური ლახან, გულისმომწყველი, მრავალძარღვა ... რამდენი კიდევ სხვა რამ, ვინ მოსთვლი. ჩვენს ბაღში ჰყვაოდა თეთრი და ლ. ყვავარდი სოსანი, იასამანი, ყრუახ, ვაშლის ხეები და სხვა მონარნარე ლამაზ ვარდები.

როდესაც ხუთი წლისა ვიყავ ერთხელ ცაცხვის ხეივანში საზაფხულო ერიამლის დროს დედაჩემი გვიკითხავდა მე ... ჩემ ძმებს ნიკიტინის ლექსებს, მე წმიდა-ხორციელ სიტკბოების გამოუთქმელი აღელვებამ შემიპყრო. პირველი მგოსნები, რომელთაც ვკითხულობდი, იყვ. სახალხო ლექსები, ნიკიტინი, კოლცოვ, ნეკრასოვი და პუშკინი. მთელი ქვეყნერობის ლექსებში ყველაზე უფრო მყვარს ლერმონტოვის ლექსი „მთის მწვერვალები“. მე ათისწლისამ დავიწყე ლექსის წერა. მერე შევწყვიტე 17 წლადის. შემდეგ კიდევ 3 წლით. ახლა კი სამუდამოდ განუყრელი ვარ ლექსთან. ბევს ვკითხულობდი, ცუდად კი ვსწავლობდ; მეჯავრება სასწავლებლები, როგორ საძაგელი ჯოჯოხეთი. თავისდათავად შვილსწავლე ათამდე უცხო ენა და ზოგნაზრით ვიმგზავრე. მიყვარდა. მიყვარს სიყვარული. მიყვარს და მიყვარს. მაქს სრული რწმენა, რომ ჩემამდის მთლიანად არ იცოდენ რუსეთში ხმოვან ლექსთა წერა. ჩემს გულში ვგრძნობ დაუშრეტელ ჭაბუკობას. ამბობენ, თითქ ჩემი საუკეთესო წიგნია „ვიყვეთ რიგორც მზე“. ეს სიცრუეა. არსებითად ჭეშმუდამ მოძრაობაში ვარ, რასაც ვერ ჰხედავენ ისინი, ვინც ბრმად მსჯელობენ. მე არა მაქვს კარგი და ცუდი წიგნები: ყველა ჩემი წიგნები ან ერთნაირად კარგებია, ანდა ერთნაირად ცუდი. უეკუთ უნდა იყვე, რომ სთქვა: ბუბუშელა უკეთესია, თუ ცუდი ორქიდეაზე.

„რამდენიმე წლის წინად, თუმცა ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, მოსკოვში მოტანტალე ქალის სიმღერისა და შარმანკის შეუდარებელ მუსიკის დროს, ფრინველმა მიწინასწარმეტყველა ბედი და გამოიცნო ჩემი ხასიათი: „თქვენ თავმოყვარე ხართ, თავისთავის იმედი გაქვთ, თქვენი თავი გარდამეტებულად გიყვართ, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეიდან დაიწყო ხელისმოწერა კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციებზე და გაგრძელდება ამ თვის 30 მდე. დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია გაზეთებში დაბეჭდილ განცხადებაში.

—

13 აპრილს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების დარბაზში ავლევის სასწავლებლის მოწაფეთა საგლეხო ორკესტრმა თ-დ კ. მ. ამირეჯიბის ლოტბარობით გამართა პატარა კონცერტი, რომელსაც ბლომად დაესწრო საზოგადოება. უკრავდნენ სოფლის ბიჭები, რომელთაც მხოლოდ ცხრა თვეა, რაც დაუწყიათ მუსიკის შესწავლა. ამ მცირე ხნის განმავლობაში მართლაც გასაკვირველია, როგორ მოახერხეს ამ პატარა ბავშვებმა რთულ სიმუსიკო იარაღზედ დაკვრის შესწავლა. დიდი მადლობის ღირსია ავლევის სასწავლებლის ხელმძღვანელი კ. ამირეჯიბი ასეთ სასარგებლო საქმისთვის.

—

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების გამგე კომიტეტის და ქალთა სამზრუნველოს მიერ არჩეულ კომისიას დაუმთავრებია მუშაობა ქალთა სასწავლებლის ტიპის შეცვლის შესახებ. 12 კაცისაგან შემდგარი კომისია ერთხმად იმ აზრს დასდგომია, რომ გადაკეთდეს ეხლანდელი ქალთა სასწავლებელი სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლად, სადაც გარდა მოსამზადებელი 3 კლასისა, უნდა იყოს კიდევ შვიდი კლასი. გარდა სპეციალური დარგებისა მოთავსებულია ამ სასწავლებლის გეგმაში შვიდი კლასიანი ვაჟების გიმნაზიის სრული გეგმაც. დაწვრილებით შემუშავებული პროექტი კომისიას უკვე გადაუცია გამგე კომიტეტისათვის, რომელმაც უნდა განიხილოს ეს მოხსენება და წარუდგინოს ამ საზოგადოებას მაისის წლიურ კრებას დასამტკიცებლად.

—

რედაქციამ მიიღო „თეატრი და ცხოვრების“ მეშვიდე ნომერი. ჟურნალი შინაარსიანათ არის შედგენილი.

სახალხო თეატრის მუშაკის ბენეფისის გამო

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობას გადაუწყვეტია ბენეფისის სახით აღნიშნოს ერთი თვის სცენისმოყვარე იოსებ რომანიშვილის ათი წლის სახალხო თეატრში მუშაობა. 1902 წელს ავჭალის აუდიტორიის სახალხო თეატრალური სექცია როგორც თვით აუდიტორიის შენობაში, ისე მთავარ სახელოსნო ახლო რკინის გზის თეატრშიაც მუდამ კვირა მართავდა ხოლმე წარმოდგენებს, რომელსაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა ბილეთები ერთი დღის წინადვე იყიდებოდა და მუდამ დიდი აურზაური იყო თეატრის კარებთან წარმოდგენის საღამოვი იმისი ბრალი, ვინც ან საღამოს თეატრის კარებში იდგა და წესრიგს იცავდა. მუდამ ესმოდა აქეთ-იქიდან მუქარის ხმა: „თუ შენ ყბები არ ამოგაგლეჯო, მაშ მე ბიჭი არ ვიქნები „ახ, თუ ცალკე შემხვდები, მე ვიცი და შენ“ და თან გულზედ ხელს იცემდა ამის მთქმელი „სული იმისი ბრალია, აი კარებში რომ დგას და არ გვიშვებსო“-ეუბნებოდენ ერთმანეთს. კიდევ კარგა ხანს ტრიალებდნენ თეატრის კარებთან და როდესაც მობეზრდებოდათ, ბურტყუნით მიდიოდნენ სახლში. თეატრალური სექცია ხედავდა ხალხის ასეთ დიდ მოთხოვნილებას და ცდილობდა უფრო გაეძლიერებინა სახალხო თეატრის საქმე.

აი სწორედ ამ გახურებულ დროს ე. ი. 1902 წელს სახალხო თეატრს მოემატა იოსებ რომანიშვილი, რომელსაც უფრო **სოსოს** ვეძახოდით.

ერთხელ წარმოსადგენად რკინის გზის თეატრში დანიშნული იყო ერემია გულისაშვილის პიესა „დრონი მეფობენ“ ამ პიესაში ი. რომანიშვილმა პირველად ითამაშა გიმნაზიელის როლი და მას შემდეგ დღევანდლამდე სახალხო თეატრის მუდმივი ერთგული მუშაკთაგანია, რომელიც პირნათლად ასრულებს ნაკისრ როლებს და სახალხო თეატრის სცენისათვისაც დიდ ძალას წარმოადგენს. ამ თორმეტი წლის განმავლობაში სახალხო თეატრს ბევრი დამბარკოლებელი მიზეზი გადაჰლობებია წინ, ბევრი შრომა და ენერგია დასჭირებია დღემდე მისაღწევად მის ჭირისუფლებს, მას ნამდვილ მოკეთეებს. მათ რიცხვს ეკუთვნის იოსებ რომანიშვილიც. დღეს სახალხო თეატრი სალამს უძღვნის თავის მუშაკს და ულოცავს გულწრფელ მოღვაწეობას.

ამ სალამს ჩვენც ყველანი სიამოვნებით ვუერთდებით ვისაც გვწამს სახალხო საქმის ღირებულობა. ვუსურვებთ მას დღეგრძელობას, რომ ჩვეულებრივი მხნეობით სახალხო თეატრის ასაყვავებლად კვლავ ემუშავოს...

გიორგი ჯაბაური.

მოწაფის აზრი ანკეტის გამო

გული სიხარულით და იმედებით აღმევსო, როდესაც გაზ. „თემის“ 170 ნომერში ამოვიკითხე ფრიად საყურადღებო წერილი ჩვენი მოწაფეების დაბეჩავებული მდგომარეობის შესახებ. სასიხარულო იყო ჩვენთვის მით უფრო, რომ ცხადად დავინახეთ, რომ ჩვენი მწარე გოდება ჩვენს აღმზრდელებს და მოკირნახულეთ უყურადღებოთ არ დაუტოვებიათ და შესაფერი ზომები მიუღიათ, რათა გაესწორებიათ თავიანთი უყურადღებობა ჩვენდამი, უყურადღებობა-თქო ვთქვი, დიაღ! სწორედ რომ უყურადღებობას წარმოადგენდა ეს მოვლენა, რომ ახალგაზრდობის დღევანდელ დაკნინებას, უშინაარსობას და მშობლიურ ენის უცოდინარობას თვითვე მას ახვევდენ თავზე და ყოველივე ბრალს ამაში თვითვე მას სდებდენ და ამავე დროს ვერ ამჩნევდენ, რომ უმთავრესი მიზეზი ამისა იმალებოდა არა მარტო ასაზრდელებში, არამედ აღმზრდელებშიაც. ამის დასამტკიცებლად უადგილო არ იქნება წარმოვიდგინოთ თვით ქართველი მოწაფის ცხოვრება სინორჩედან დაწყებული მომწიფებამდის, გიმნაზიის გათავებამდის.

დაიბადება თუ არა ქართველი ბავშვი, ცოტათ თუ ბევრად განათლებელ ოჯახში, მას დედის რძესთან ერთად აწვდიან და უნერგავენ სრულიად მის ბუნებასთან შეუსისხლხორცებულ უცხო გრძნობებს. უწინდელი დედა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და ნათლად წარმოდგენილი ჰქონდა თვისი მისდამი მოვალეობა, აკვანში ტკბილ ნექტართან ერთად უნერგავდა სამშობლოს, მამულის სიყვარულს და მისთვის თავ-განწირვას უმღერდა ნორჩ შვილს. სულ სხვა შინაარსის არის ეხლანდელი ნანინა.

დაივიწყა ქართველმა დედამ ენა—ეს დედა ძარღვი ეროვნებისა და ეროვნებასაც საფრთხე გაუჩნდა. აკვნიდან, სკოლაში მიბარებამდე ბავშვს უაზროდ ატიკტიკებენ რუსულ ენაზე და ვინიცობაა ქართული წამოსცდა რამე, ყურსაც-კი უწევენ.

შესდგამს ფეხს სკოლის დარბაზში და იქ ხომ ქართულს სად გაიგონებს?

ბავშვს მუდამ უჭირს გზის გაკვლევა ამ პირობებში, არ იცის რაგვარად მოეპყროს, რომ ეს უცხო ენა, რომელსაც ისე ეტანებიან მისი აღმზრდელები, რამენაირად შეითვისოს და შეისწავლოს.

მაგრამ, რამდენსაც უფრო წინ მიისწრაფიან მოწაფეები თვით-გამორკვევის გზაზე, მით უფრო და უფრო მათ სულიერ არსებაში მწვავდება ბრძოლა: ქართველ მოწაფეს რაღაც აწუხებს, სულს უხუთავს, მას სურს გადაისროლოს შორს ეს უცხო წიგნები და მშობლიურ წიგნებს დაეწაფოს, მაგრამ ამას ვერ შეძლებს, რადგან არ აწვდიან.

მხოლოდ უფროს კლასებში მას ეძლევა შემთხვევა, რადგან უკვე თავისუფლად იცის ქართული კითხვა. მოჰკიდოს ხელი ქართულ წიგნს, დაეწაფოს მის შეგნებას, მაგრამ მისი გაუმზადებელი ბუნება ვერ ახერხებს ამას. ის მოუთმენლად კითხულობს საქართველოს ისტორიას, ადარებს ეხლანდელ დროს წინანდელს, მაგრამ ვერ ასწრობს ყველაფრის გამორკვევას, რადგანაც უცხო ერთა და უცხო ლიტერატურის შესწავლას აძალებენ. სახელმძღვანელოებსაც უფრო კარგად შედგენილს აწვდიან. მოწაფეც ინსტინქტიურად იბრუნებს პირს ქართულ ისტორიულ წიგნებიდან და ცნობისმოყვარეობას იკლავს უცხო ისტორია-ლიტერატურაში. ქართულის ენის, ისტორიის და ლიტერატურის უცოდინარობასთან ერთად ის გულიდან თითქო იცილებს სამშობლოს წინაშე, მოვალეობასაც და სრულიად მისთვის ახალ უცნობ აზრებს ეტანება. ის ეზიზღება უცხოელებს, მათ ცხოვრებას ზედმიწევნით იცნობს—ის აქებს ნაპოლეონს გმირობისთვის, გუნდრუკს უკმევს პეტრე დიდს, მთელ გალავანში ყველასთვის ნაცნობი სიტყვები დეკანოზისა და ისევ სიჩუმე დამყარდა.

—„ჰო, მეც მიწყალე, უფალო, ცოდვილსა!“ თან მიაყოლა გამდელმა...

—„დაწყებულ ზამთრის ღამე იყო, შვილო, ცივი და ისეთი ბძნელი, თითქო ცასა და დედამიწას შავი მანდილი გადაჰფენოდა. ხელში ანთებული წმინდა სანთელი მაყრიონს ვერას შველოდა: გზის ბ'ქით აღარასფერი სჩანდა.

სამიოდე ატალახებული ორღობე წვალებით კიდეც გაიარეს, ხევის გზას ჩაჰყვენ, აიარეს და დაადგნენ ძიძგილაანთ კარის სოფლის გზას. შემდეგ კარგა ხანს კიდევ იარეს. როცა მიუახლოვდენ ტყით დაბურულ წოწოლა მთას, უცებ ყოველ მხრიდან საზარელი ყმუილი გაისმა...“

—ვაიმე!.. შესძახა პატარამ, მაგრა მიეკრა გამდელს და გადმოკარკლული ღამაზი თვალები მიაშტერა ეკლესიის კუკუმეთ ჩრდილს, საიდანაც მას ამ დროს რაღაცეები ელანდებოდა.

—„ვაი შენს გადიას!.. შეგეშინდა?..“ მზრუნველობით მოჰხვია ბავშვს ხელი.

—არა, არა, ხელს ნუ მახლებ, იქით წაიღე, ასე მგონია სხვა მეხვევა მეთქი... მერე?!.. მერე?!.. სთქვი, მალე!..

—ძიძგილაანთ მთელი წოწოლა მთა გაჩირადღნებულიყო. ყოველ ხესა და ხის შუა, ყოველ ბუქიდან გადმოიყურებოდა ცეცხლის ნაკვერცხლებივით მოგიზგიზე მგლის თვალები...

—ვუიმეეე!... მერე?!.. გე...ნა...ნაც ..ვა...ლე!..

—მერე და ზურნა დააყენეს. ელდანაკრავივით დაფთხა მაყრიონი, გაიქცა-გამოიქცა ყველა... ვინ საით გარბოდა, აღარ ესმოდათ, ყველა მარტო იმას სცდილობდა, ცოცხალი გადარჩენილიყო... მაშ!.. რასა იქ, შვილო, სული ტკბილია!..

მეორე დღეს აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ბევრი ეძებეს, მაგრამ, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, საწყალი გიგლა ვეღარ იპოვეს...

ბავშვი უცებ წამოხტა და მეორე მხრიდან მიეკრა გამდელს..

—გადიაჯან, რა არის, გენაცვალე, ეკლესიის ჩრდილში ის მაღალი... აგე, აგე, ბანჯღვლიანის თავით?

—არაფერი, შვილო, ეკლესიის გძელი საწმენდია მიყუდებული.

— ხოო!.. იქნებ საწყალი გიგლა მგლებმა შეჭამეს...

...ჰა?.. ყრუთ და ამოხვნეშით ჰკითხა შალიკომ; თან უფრო მაგრა მიჰკრიდა გამდელს, პირისახეს მის დანაოჭებულ პირის ტყავს უხახუნებდა და ხელებს უბეში უწყობდა.

—რა ვიცი, შვილო, რა გითხრა?!.. კარგა ხანმა გაიარა, ვიღაც მგზავრებს ღმის უბედური დედისთვის ასე ეთქვათ:

სწორედ იმ ღამეს, ძიძგილაანთ დაბურულ ტყით მოვდიოდით. ბნელი ღამე იყო, გზას ძლივს ვარჩევდით. ისევ ტყეში ვიყავით, რომ მთვარე დინჯად ამოცურდა და გაანათა არე-მარე. ტყეს რომ გავცილდით, უცებ ადამიანის კივილი მოგვესმა. შევდექით, მოვემზადენით საშველად, გავიხედეთ და ნურა თვალმა ნუ ნახოს ის, რაც ჩვენ სანახავი დავინახეთ.

კლდე-ღრეში, ნასოფლართან, წყლით და ყინულებით გავსებულ კლდის აუზში ეგდო შიშისგან და ყინვისაგან აცახცახებული ვიღაც ტიტველა კაცი. აუზსა და გარშემო კლდეებს, ჯვარი აჭაურობას, შემოსხდომოდენ ქაჯებივით რაღაც ბანჯღვლიანი არსებანი, არც თუ ადამიანები იყვნენ, არც თუ მგლები, თვალებიდან ცეცხლები სცვიოდათ.

მოძაგძაგე, მოღრიალე ადამიანს ეს არა წმინდები კბილების კაწკაწით ჩაჰბღაოდენ ერთხმად და თავ-აწყვეტით ჩაჰპარხარებდენ:

ამაღამა... ყინულებში
სიცივე და .. კანკალიო.
ხა!.. ხა!.. ხა!.. ხა!..
ხვალ ღამ კია.. პატარძალთან
სიცილი და... ხარხარო.
ხა!.. ხა!.. ხა!.. ხა!..

ვეცით გზას, მივრბივართ გამალებული, შიშით ყველა მივიფან-მოვიფანტენით; კარგა მოვშორდით კიდეც იმ საშინელ ადგილს, მაგრამ ყურში კი ისევ ის ბღავილი და თავ-დაუჭერელი ხარხარი გვესმოდა:

ამაღამა.. ყინულებში
სიცივე და. . კანკალიო.
ხა!.. ხა! . ხა!.. ხა!..
ხვალ ღამ კია... პატარძალთან
სიცილი და.. ხარხარიო.
ხა!.. ხა!.. ხა!.. ხა!..

ახტა უცებ ბავშვი დამფრთხალი, ძალზე შეშინებული ტყვიასავით კალთაში მარდად ჩაუვარდა გამდელს.

—ოი, შვილო, მამკალ! რათ იცი, გენაცვალე მაგრე უცებ ჩამახტები ხოლმე? გულ-მუცელი სუ ჩამინგრიე..

—მ.ხვიე!.. მამხვიე, ბარბარეჯან ორივე ხელი მამხვიე... მაგრა!.. მაგრა, შენს თვალებს ვენაცვალე, კანკალით ემუდარებოდა ბავშვი.

—სუ!.. შე სძაგელო!.. ვაი რა მის სანაცვლო კი გახდები—ჩემი წირპლიანი თვალებისა?

—ხო... მაგრე... მაგრე!.. და ნიშნად მადლობისა შალიკომ აიშვირა გაგძელებით ტუჩები, აკოცა ნიკაპ-ქვეშ დაყლანწულ და ჩაყვითლებულ ადგილას.

—ეხლა, ბარბარეჯან, კიდევ რამ უნდა მიამბო. მე... დედა არ მომიკვდება... არაფრისა მეშინიან... შენ აქ არა ხარ, რისა უნდა მეშინოდეს?.. თითონ კი შიშისაგან ცახცახებდა, გველივით იხლაკნებოდა გამდლის კალთაში. აქათ-იქით იყურებოდა დამფრთხალი და სულ იმის ცდაში იყო, რომ ან ფეხი, ან ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების ეკლები

პირველი დარდი.

ზაფხულის მშვენიერი ღამეა. ქაშვეთის ეკლესიას გაბადრული მთვარე დაჰქათქათებს. საყდრის გუმბათი, მარმარილოს მატურები დავარაყებული ჯვრებით გაციასკროვნებულან... მთვარის შუქზე ყველაფერს ფანტასტიური სანახაობა მიუღია. გრილი ნიავი ცელქად ურბენს გალავანში უხვად დარგულ ყვავილებს, სტაცებს საამო სურნელობას და გარშემო მიმოაფრქვევს. ხეები ნიავთან ჩაკონების დროს ზანტად იზმორებიან და ოდნავ აშრიალებულ ტოტებით რაღაცას ჩასჩურჩულებენ ამ სამოთხე ადგილას დასაფლავებულთა, თითქო ანუგეშებენ მათ, ამხნევებენ მეორედ მოსვლის მოლოდინში. ეს საოცნებო კუთხე, ენით აუწერელი მშვენიერება, ამ ჟამად ქვეყანას მოსწყვეტია. დარაჯს ალაყაფის კარი ჩაუკეტია, თითონაც ადრე დაწოლილა, რადგან დანიშნულ საათიდან უნდა იფხიზლოს, რომ ამ საარაკო წალკოტს ბოროტი ხელი ვერ შეეხოს. გარშემო სამარისებური სიჩუმე სუფევს. მარტო ხანდაზმით წინამძღვრის სადგომიდან მკაფიოდ გაისმის მთელ გალავანში ამონახვნეში სიტყვები მოხუც დეკანოზისა: „მიწყალე მე, უფალო, და ღირს მყავ სასუფეველსა შენსა!“

მატურებ შუა, ეკლესიის ახლო, საფლავის ქვაზე ზის დეკანოზიანთ მოხუცი გამდელი. მთელი დღის მუშაობით მოქანცულს გვერდზე უზის შვიდი წლის შალიკო, სუსტი და ნაზი ბავშვი, თავის დედის შალში გახვეული. გამდელი დღესაც, როგორც ყოველთვის, უამბობს პატარა საშინელ ზღაპრებს, შესაზარ ძველ ამბებს... შალიკოც გატაცებით უსმენს. თუმცა ბავშვს ნაამბობი ყოველთვის აშინებს, შიშის ზარს ჰგვრის, მაგრამ გულით ჰსურს მაინც ბოლომდე გაიგოს, ძალზე სწყურიან ყოველივე მოისმინოს. ცისკარე დღეს მოუთმენლად ელის იმ წუთს, როდესაც გამდელი თავისუფლდება, ათავებს შინაურ საქმეებს, და აქ, ამ საფლავის ქვაზე, იკალათებს თავის საყვარელ შალიკოთი, ამ ერთად ერთ არსებით სახლში, ვისაც ესმის მისგან ნაამბობი, უყვარს და აფასებს მას.. დადგება თუ არა საღამო, ნუკრის შველივით მისდევს, მისწუწუნებს გადიას:

—„წავიდეთ რაღა, წავიდეთ, ბარბარეჯან!...“

—„ჰო, ეხლავ, შვილო, აი, მოვდივარ!,.. მოვდივარ, გენაცვალე, მოვდივარ!..“

—

—„გუშინ მაყრიონზე შევჩერდით...,“ ყვირილით მოაგონა გახარებულმა შალიკომ, როცა მიუჯდა გვერდზე მოხუცს საფლავის ქვაზე. ბარბარემ გახსნა კოლოფი, ბურნუთი შეიყარა და დაიწყო:

—ხო, შვილო, ნეფის მაყრიონი შეზარხოშდა... სახლიდან ზეიმით და დაფა-ზურნით გაიყვანეს კოხტად ჩაცმული თვრამეტი წლის ლამაზი გიგლა, ყელზე მოხდენით ბაღდად შემოხვეული.

დედა ეფროსინე დარბის ამ დროს, დაფუსფუსებს... რას აკეთებს, ვის რას ელაპარაკება, განადა ესმის?.. სიხარულით ცას სწვდება... ყველა მეზობელ დედაკაცს სათითაოდ ერთსა და იმავეს უამბობს: „პატარძლიანთას მიჰყავთ, გენაცვალეთ, ჩემი გიგლა; იქიდან ქალვაჟი, გვირგვინებით მორთული, უნდა ჩვენს ეკლესიაში მოიყვანონ ჯვარის დასაწერად. დამილოცეთ, თავ-შემოგევლეთ, დამილოცეთ ერთად ერთი შვილი, ქვრივ-ოხრობით გამოზდილი...“—ღმერთმა დალოცოს, აბედნიეროს და გიხაროს!“ ერთხმად შეჰყვირეს დედაკაცებმა.

—„მიწყალე მე, უფალო, და ღირ ჰმყავ სასუფეველსა შენსა!“ უცებ გაისმა

მოწოდება

—

დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოწოდება უშედეგოდ არ დარჩება. ჩვენის აზრით ახლა-გე უნდა შეიკრიბ'ეს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ან ისტორიულ საზოგადოების საბჭოს თაოსნობით ამ საქმის გამოსაწყობად სასარგებლო და საჭირო პირნი, შეიმუშავონ გეგმა და შეუდგნენ საჭირო მასალის შეგროვებას. ასეთი მაგალითი უკვე გვქონდა, როცა საფრანგეთის გამოფენაზე გავმართეთ ჩვენი ქართული განუფიდელება. მაგრამ მაშინ მკრთალად იყო მოწყობილი. ახლა უკვე რამდენადმე გამოცდილი ვართ და შეეძლებიდა საქმეს უფრო დირსეულად გავუძღვებით. წინადადება სასარგებლოა საჭიროა თანასწორ. და მხნეობის გამოჩენა მოგვეცეს შემოხვევა. მაშ! გამოგიწიოთ ფეხ!.....

რედ.

—

საერთაშორისო მუზეუმი

ბრიუსელში 1910 წ. მაისის 9, 10 და 11-ს შემდგარმა საერთაშორისო ასოციაციათა მსოფლიო კონგრესმა დაადგინა ისეთი მუზეუმი დაარსოს, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვა და სხვა ერთა გონებრივისა და ტეხნიკის წარმატების შედეგი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში. ასეთი მუზეუმის დანიშნულებაა დაანახოს ყველას საერთაშორისო სოციალურ ორგანიზაციის ყოველმხრივი წარმატება, აგრეთვე მნიშვნელობა ამ ორგანიზაციისა საზოგადოებრივი და სამეცნიერო მხრივ. მუზეუმში თავმოყრილი იქნება საერთაშორისო და შედარებითი ხასიათის კოლექციები, მაგალითად: სხვა და სხვა ნივთები, გრაფიკები დოკუმენტები მეცნიერებისა, ხელოვნებისა, სოციალურ ეკონომიისა, მწერლობისა და ადებ-მიცემობის განვითარების მაჩვენებელნი.

მუზეუმის მოწყობა და მისი მოვლა მინდობილი აქვს საერთაშორისო ასოციაციათა ცენტრალურს დაწესებულებას მსოფლიო კონგრესის აღმასრულებელს ორგანოს. ეს დაწესებულება ბელგიის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ყოველს ქვეყანას და ეროვნებას განსაკუთრებული დარბაზი აქვთ დათმობილი, სხვათა შორის, ქართველთა-ც. ეს პირველადაა, რომ საქართველოს შემთხვევა ეძლევა ევროპას დაანახვოს თავისი გონებრივი და ტეხნიკის წარმატებ ს შედეგი და ამ მხრით ცხადჰყოს, რომ ისიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს.

ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც ამ ჟამად საქართველო იმყოფება, იმის მიზეზი გახლავთ, რომ მაკ თავი ვერ გამოუჩენია საერთაშორისო ცხოვრებაში. აქ მხრით ქართულ განყოფილებას მუზეუმის სხვა განყოფილებებთან შედარებით, ცოტა არ იყოს, განსაკუთრებული ხასიათი ექნება. ამიტომ საჭიროა წარმოადგინოს მან თავისი საზოგადოებრივი მუშაობის შედეგი და მეთოდი. ყოველსავე შემთხვევაში ქართულ კოლექციებზე დამყარებული შედარება უცხოელთა განყოფილებებთან მას საერთაშორისო მნიშვნელობას მიანიჭებს.

საერთაშორისო მუზეუმის ქართულ განყოფილებაში მოთავსებული იქნება: ა) **საისტორიო განყოფილება**, ბ) **საეთნოგრაფიო და საგეოგრაფიო:** რუკები, რელიეფები, მცხოვრებთა ქარტები, პეიზაჟები, ეროვნული ტანისამოსები, სახალხო ხელოვნების ნიმუშები და სხვ. გ) **საეკონომიო და სოციალური განყოფილება:** სოციალური ორგანიზაციები, საკოოპერაციო ამხანაკობანი და სხვა. დ) **სამრეწველო და სავაჭრო განყოფილება:** ცნობები მრეწველობისა, ხელოსნობისა და სხვა დარგთა და გაბოსადეგ ცოდნათა გავრცელების შესახებ; ე) **აღზრდისა და სახალხო სწავლა-განათლების განყოფილება:** ცნობები ქართველი ერის განათლებისა და აგრეთვე სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესახებ; ზ) **სამეცნიერო განყოფილება:** სურათი საქართველოს მონაწილეობისა ევროპის სამეცნიერო წინსვლაში.

რომ საერთაშორისო მუზეუმში ქართულ განყოფილებას მნიშვნელობა ექნება, ეს ეჭვს გარეშეა, ვინაიდან იგი დასავლეთ ევროპას ხელს შეუწყობს მის დაახლოვება გაცნობაში. მაგრამ რომ ეს განყოფილება მოეწყოს, ამისთვის საჭიროა თვით ქართველ ხალხის თანაგრძნობაც. აი, ამ წერილით მივმართავთ ყველ-

*) ეს ამბავი ეკუთვნის ... „ეკლესიის ... ეკლესიის ... ეკლესიის ...

ლას, ვისაც კი გული შესტკივა ქართულ ერის წინსვლისა და მის წარმატებისთვის. ვთხოვთ, დაგვეხმაროთ, მოგვაწოდონ ანკარიშები, სასტატისტიკო ცნობები, წიგნები, ქარტები, გრაფიკები, სურათები და სხვა ნივთები. იმედი გვაქვს ჩვენი საზოგადოება ზნეობრივსა და მატერიალურს დახმარებას აღმოგვიჩენს, რაიც ასე საჭიროა ამ ახალი დაწესებულების ასაღორძინებელად.

საერთაშორისო მუზეუმის ქართული განყოფილების პრეზიდენტი.

თავმჯდომარე

ბარბარე უიფიანის ასული.

ტირიფონის საქმის გარშემო*)

წერილი „თემის“ რედაქციის მიმართ გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავ. ნიკ. ალ. თუმანიშვილისა.

ადგილობრივ გაზეთების ფურცლებზე და, სხვათა შორის, წარსულ კვირას ტურნალ „კლდეშიაც“, დაისტამბა წერილები შესახებ ტირიფონის მინდვრისა, სადაც აპირებენ კავკასიის **მეორე** კორპუსისათვის ბანაკის გამართვას.

ჭეშმარიტების აღსადგენად უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში დამჭსტამბოთ შემდეგი სტრიქონები.

საბანაკო კომისია, რომელიც ამჟამად იმყოფება გორში, ანგარიშს არ უწევს, სურთ თუ არა მიწის-პატრონთ გაყიდვა თავიანთ მამულებისა. მისი დანიშნულებაა—არჩევა შესაფერ ადგილისა, პატრონთა გამოძებნა და გამოსასყიდ მამულების ღირებულების გამორკვევა.

როდესაც ვფიქრობდი, რომ ბანკისა თვის საკმარისია მხოლოდ მცირე ნაწილი ქალაქ გორის თავისუფალ მიწებისა იმ საძოვარ ადგილების ზედდართვით, რომელნიც, თუმცა ეკუთვნიან ცალკე პატრონებს, მაგრამ არ არიან ადგილობრივ გლეხების ხმარებაში, მე მართალია სასარგებლოდ მიმაჩნდა ამ რაიონისათვის ბანაკის მოწყობა: პოლონეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი მკვიდრნი მდიდრდებიან, ძალიანაც უხარიანთ, რომ ჯარებია იქ თავმოყრილი და სრულებითაც არ ჰკარგავენ თავის ელფერს**) მაგრამ, როდესაც დავინახე, რომ კომისიას სჭირდება საკმაოდ დიდი რაიონი, ძვირფასი მიწები და ამასთანავე აუცილებელია აყრა რამდენიმე სოფლისა, მე შევიცვალე აზრი.

ჩემთან მოდიოდენ სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელნი და ცალკე პირნი. ყველა ამათ დავპირდი შესაფერ რჩევის მიცემას.

ეს საქმე, მართალია, ახლო მომავლისა არ არის, მაგრამ, მაინც საჭიროა ახლავე მიღებულ იქმნას ზომები, მაგრამ არ ვიცი, შესაძლებელი კი არის რამე გაკეთდეს.

შემდეგ საჭიროდ მიმაჩნია ვიკითხო, ნეტა საიდან შეიტყეს ზემოხსენებულ გაზეთებში დაბეჭდილ ცნობების ავტორებმა, რომ ასაყრელია 20.000 სული, რომ თავ. გ. ი. ამილახვარს გამოსასყიდ ადგილებში 3 000 დეს. მიწა აქვს?

ადმინისტრაციის ცნობებით გორის მაზრაში ითვლება 208.733 ბინადარი მცხოვრებელი, მოსული 18.365, სულ 227.098. მთელ ხურვალეთის საზოგადოებაში, რომლის მხოლოდ ნაწილს შეადგენს ასაყრელი სოფლები, ითვლება 5.000 სულზე ნაკლები, რადგანაც ეს საზოგადოება შეადგენს თითქმის $^1/_{45}$ ნაწილს მთელი მაზრისას, რომელშიაც გაერთიანებულ საზოგადოებათა რიცხვი 45 უდრის (მე ასე ვანგარიშობ, რადგანაც ამ ჟამად ხელთ არა მაქვს სხვა მასალა).

თავ. გ. ი. ამილახვარს ამ რაიონში, თუმცა ყველაზე მეტი მამული აქვს, მაგრამ მხოლოდ 450 დესეტინა, რომლიდანაც 200 დესეტინამდე უმთავრესად საძოვარი ადგილებია. ამ საძოვრებით კი არ სარგებლობენ ადგილობრივი გლეხები.

თავ. ნიკ. ალ. თუმანიშვილი.

ნუ თუ მართალია?..

(წერილი ოზურგეთიდან)

როგორც მკითხველებმა იციან 1913 წლის 20 გიორგობისთვემდე ოზურეგთში არსებობდა ერთად-ერთი აფთიაქი, რომელიც ეკუთვნოდა ვასილ სოფრომის ძე ხუნდაძეს.

ამ დღიდან კი ოზურგეთმა ისარგებლა ახალი კანონით, რომელიც ყველა თვითმართველობას აძლევს უფლებას გახსნას თავის აფთიაქი. ოზურგეთმაც ამ კანონის მიხედვით გახსნა და ისე მოაწყო საქმე, რომ ამ პატარა ქალაქს კი არა, დიდ ქალაქსაც გაუჭირდებოდა მისი ასე კოპწიად მოწყობა.

საქმე მშვენივრად არის დაყენებული და კარგი მუშაობაც აქვს, ასე რომ ერთი-მეორეზე დღეში ხუთ-ექვს თუმანს გაასწორებს. პირველ იანვრიდან დღემდე ნუმერაციამ 3600 რიცხვზე მეტი აღნიშნა. წინა წლებში, როცა ქალაქის აფთიაქი არ არსებობდა, ვასილ ხუნდაძე ყოველ წლის ბოლოს 7,000; ხან 9,000 რიცხვს აჩენდა; ზოგჯერ 11,000; ეს იმ დროს როცა თვითონ მარტოდ მარტო უფლობდა, როგორც მეაფთიაქე ოზურგეთის არე-მარეს. დღეს ახალი წლის პირველი რიცხვიდან სამ-თვე ნახევარი არის, ქალაქის აფთიაქს როგორც ვსთქვი 3,600-ზე მეტი რიცხვი აქვს, ვ. ხუნდაძეს 700-დე. ასე რომ ორთავეს ერთად 4,300; ეს სამ თვე ნახევარს, წლის ბოლოს ამ რიცხვით გამოვა 15,000.

ეს რიცხვი იქნება **მინიმუმი**, რადგანაც გურიაში ავათმყოფობის სეზონი მაისის რიცხვებიდან იწყება. როგორცა სჩანს ვ. ხუნდაძე განზრახ არ აჩენდა ნამდვილ რიცხვს, რომ კანონის ძალით არ შეეძლოთ სხვა აფთიაქიც გაეხსნათ.

მაგრამ ქალაქმა 1912 წ. თებერვლის კანონით ისარგებლა და გახსნა თავის აფთიაქი, რომელმაც დაუფრთხო ძილი ვას. ხუნდაძეს. ეს უკანასკნელი ეცადა როგორმე საზოგადო საქმე შეეფერხებინა, მაგრამ ვერას გახდა... ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. სენატში საჩივარი შეიტანა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ოზურგეთს, როგორც შემოკლებულ თვითმართველობის მქონეს უფლება არა აქვს გახსნას აფთიაქი... ეს საჩუქარი მან იმ დღესვე შეიტანა, როდესაც აფთიაქი გაიხსნა... შედეგი მისი საჩივრისა დღემდე არა სჩანდა, დღეს კი ეს ერთი კვირაა რაც ვასილ ხუნდაძის აგენტებმა მთელ გურიას მოსდვეს უცნაური ამბავი; ქალაქის აფთიაქი იხურება, და ჩვენ ქალაქს უნდა ვუჩიოლოთ ის ფულები, რომელიც მისი გამოისობით დავკარგეთო... ამას გაიძახიან ისინი რიხიანად... რამდენად მართალია ეს ხმები, არა ვინ იცის. თვითმართველობა შეეკითხა სახ. სათათბიროს წევრს კ. ჩხეიძეს, პეტერბურგში მყოფ ზოგიერთ გავლენიან პირებს: ვასილ დუმბაძეს, ივ. ნაკაშიძეს და სხვებს, მაგრამ პასუხი ჯერ არსაიდან არ მიუღია. თუ ეს ხმები გამართლდა ჩვენი დავარდნილი ქალაქი ვერასოდეს ვერ გამოიხსნის თავს...

საჭიროა მსწრაფლად გამოირკვეს ეს საქმე!..

18 წლის განმავლობაში ერთად-ერთი ეს საქმე გაკეთდა ოზურგეთში, და ისიც უნდა სფრთხეს მოელოდეს!.. შევიტყოთ, რაშია საქმე, მართალია ეს ხმები, თუ მოწინააღმდეგეთა პროვოკაციაა!..

დახურვა ქალაქის აფთიაქისა ნიშნავს, თვითმართველობის დამარხვას, გაკოტრებას ქალაქისას. დღეს ქალაქი ვალშია ჩაფლული და მისი იმედები ამ ერთად ერთ დაწესებულებაზეა დამყარებული!..

ხ. შავგრემანი.

წერილი შორეულ აღმოსავლეთიდან

(ქ. ბლაგოვეშჩენსკიდან)

დამთავრდა რკინის გზის მუშაობა სრეტენსკიდან ბლაგოვეშჩენსკამდე. 6 დეკემბერს გაიხსნა აქ ვოგზალი ბლაგოვეშჩენსკი. ეს ამბავი მოასწავებს, უეცველად, დიდ ცვლილებას აქაურ პატრიარქალურ ცხოვრებაში. მობრძანდება ბატონი კაპიტალი და თან მოაქვს თავის სიმძლავრე, რომელიც დაიჩნევს ყველს ყველაფერში.

ამ რკინის გზამ სრეტენსკიდან (იმიერ ბაიკალის ოლქი) უნდა გაიაროს მთელი ეს ვეებერთელა ამურის ოლქი და შეუერთდეს ქ. ხაბაროვსკისთან (ზღვისპირის ოლქი) რკინის გზას. დაახლოვებით 2011 ვერსტი იქნება. დღემდის მიმოსვლა მხოლოდ წყლით ხდებოდა-მდინარე ამურით და შილკათი. ზაფხულში ორთქლმავლებით დადიოდენ და ზამთარში მარხილებით გაყინულ მდინარეებზე.

ამნაირად მოგველის კულტურის შემოტანა. ვნახოთ, რა ცვლილება მოჰყვება რკინის გზის გაკეთებას ჩვენს ცხოვრებაში.

ქართველების რიცხვი ამურის ოლქში ამ უკანასკნელ დროს ათასს აღემატება, მაგრამ საუბედუროდ, ამ რამდენიმე წლის წინად დაარსებული „ქართველთა თვით დამხმარებელი საზოგადოება“ აღსრულების პირას არის მიღწეული. ბევრნი ჩამოშორდენ მას და 255 წევრის მაგიერ მხოლოდ 14 ღა ითვლება, ისიც მარტო ვაპარი. საზოგადოდ აქაურ ვაპრების ბრალია, რომ ასე წავიდა ხსენებულ საზოგადოების საქმეები. ამათ სრულებით არ გამოიჩინეს საზოგადოებრივი აღლო და მიჰფანტ მოჰფანტეს ამ საზოგადოების თანამგრძობნი. მათი „მოღვაწეობა“ იქამდინაც კი მივიდა, რომ გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრეს: „ვინც ჩვენს საზოგადოებაში არ იქნება ჩაწერილი წევრად, ოლქიდან გაიგზავნოსო“. ამაზე შორს ვერა მგონია წავიდეს ვერც ერთი დამსმენიც!.. აი ვინ ხელმძღვანელობს დღეს ჩვენს ერთად-ერთს საზოგადო დაწესებულებას, რომელსაც მარტოოდენ სარგებლობა უნდა ჰქონოდა შორეულ ქვეყანაში გარდახვეწილ ქართველებისა!....

იოსებ შუშანიკაშვილი.

მეაბრეშუმეობის საქმე ჩვენში

იმერეთში ყველაზე მეტად მეაბრეშუმეობას ხონის რაიონში მისდევენ, სადაც ოჯახს ვერ ნახავ, რომ აბრეშუმი არ მოჰყავდეს მეაბრეშუმეობა სასარგებლო საქმეა, მაგრამ მას ჯეროვანი ყურადღება მაინც არა აქვს მიქცეული. მეაბრეშუმეობაში ხალხის დახმარება კიდევ ბევრ ინტელიგენტს სასირცხოდ მიაჩნია. ზეცას მონავარდე ხალხმა ჭუკყიან მეაბრეშუმეობაში ხელი როგორ უნდა გაისვაროს და ან ტეტიებთან საქმის დაპერა რა მისი საქმეა?!.

წელს მოუსავლობის გამო მეაბრეშუმეობას ჩვეულებრივზე მეტი მნიშვნელობა ეძლევა. აბრეშუმის პარკის მოსავალი თუ კარგი იქნა, ხალხს მისგან შემოსული ფული დიდ დახმარებას გაუწევს. ახლა წრეევნდელ წლისთვის არაფერი გარდიქმნება, მხოლოდ მომავალში წარსული წლის გამოცდილებით უნდა ვისარგებლოთ.

აბრეშუმის თესლის გაყიდვის დროს ბევრი სიყალბე ხდება. არის შემთხვევები, როდესაც კარგ აბრეშუმის თესლის კოლოფში ცოტა თესლს სდებენ. ასეთ შემთხვევებს თითქმის ყოველ წლობით აქვს ადგილი. არც წესლა ვართ უზრუნველყოფილი ამ მხრით. ეკვი არაა ამ სიყალბით წესლაც ბევრს მოატყუილებენ და ცუდი თესლი წესლაც ბევრი შემოვა.

ვურჩევთ ხალხს ძალიან სიფრთხილე გამოიჩინოს თესლის ყიდვაში, ვინაიდან თესლის სიავკარგეზეა დამოკიდებული აბრეშუმის მოსავალი.

რაც უნდა კარგად მოუაროთ აბრეშუმის ჭიას, თუ თესლი ცუდია, ამაოა მასზე დახარჯული შრომა. ერთი და ორი ნასწავლი კაცი სოფელში ყოველთვის მოიპოვება და გლეხებმაც მათ უნდა მიმართონ საშველად. შეგროვდენ ხუთიექვსი მოსახლე და თესლის დროს გაიყოლონ ეს ნასწავლი კაცი.

დასავლეთ საქართველოში თესლის გაყიდვას და პარკის გაყიდვის დროს სასწორებს თვალყურს ადევნებს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების აგრონომი ი. ქუთათელაძე. რაიონი ბ-ნ ქუთათელაძეს დიდი აქვს და ამიტომ თავის მოვალეობის ყველა რაიონში პირნათლად შესრულება ძალიან გაუჭირდება. კარგს იზამს საზოგადოება, თუ მეორე აგრონომსაც გამოგზავნის, თუმცა ესეც ცოტაა. საურველია ეს აგრონომები ჭიის მოვლის შესახებაც აწვდიდენ ხალხს ცნობებს.

ა—ლ—ი.

საქართველოს ამბები

დ. ზუგდიდი. ი. გოგებაშვილის სადამო. შაბათს, 12 აპრილს, ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში, გამართეს სალიტერატურო და სიმღერიანი სადამო ზვენი სახელოვანი პედაგოგის ი. გოგებაშვილის სახსოვრად.

ასეთი შინაარსიანი სადამო აქ პირველი იყო კამართული. ბ. ნიორაძემ წაიკითხა დეკლამაციები, სადაც იგი შეეხო ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეალებს...

მონაწილეობას დებულობენ აგრეთვე ახალგაზრდა პოეტები: ბ. ქუნიშვილი, ბ ტაბიძე, ბ. ურუშაძე და მ. ანაშვილი. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა სწორედ გ. ქუნიშვილის და მ. ანაშვილის დეკლამაციებმა. პირველმა წაიკითხა „ქუნის მეფოდია“ და მეორემ „გოგებაშვილის სხოვნას“. ორივე დამსწრეთაგან მხურვალე ტაშით იყვნენ დაჯილდოებული.

მონაწილეობას დებულობდა აგრეთვე ვიოლონჩელისტი ხაჩატუროვი.

ხალხი ბედნიერ დაესწრო.

არ შეიძლება საუკეთესოთ არ მოგახსენოთ აქაური ინტელიგენტია, რომელმაც დაუფიქარ გოგებაშვილის სალამოს, ბოლს მიაყოლა რადაც „ტანტი-მანტი“. სწორედ უადგილო იყო ეს ჩვენის აზრით

ვეჩე.

— —

ს. დიდი-ჯიხაიში. აქაური სამკითხველო ფორმალურად დაარსდა 1898 წელს. 1915 წლამდე სამკითხველო მოთავსებული იყო კერძო სადმიანის სახლში. მაინც წესიერად ვერ სარგებლობდა ამით ხალხი. მხოლოდ 1905 წელს სამკითხველოსთვის საკუთარი ბინის შეძენას შეუდგნენ ერთ ერთ ჯიხაიშელ მასწავლებლის მეთაურობით მართალია სამკითხველო კახსნა საკუთარ შენობაში, დიდი-ჯიხაიშის სკოლის პირდაპირ თუმცა იგი ნამეტანი ვიწრო, 1905 წლიდან 1907 წლამდე სამკითხველოს ჰქონდა ეოველ წლიურად 60 წევრამდის. წიგნი კაჰქონდა წასაკითხად 100 მკითხველს სამკითხველოში საკითხავად შემოდიოდნენ თვიური ვარუდით არა უმეტეს 50-სა.

1907 წელს სამკითხველო მიეკეტა, სამკითხველოს კამეკ ტოლშიდით კალასახლეს.

1908 წ. სამკითხველოს კამეკ—ხელმძღვანელი დაბრუნდა. მან წინადადებით დ მოთავეობით შესდგა კომისია, რომელმაც სამკითხველო კვლავ კახსნა.

ამ ჟამად სამკითხველოში საქმე კვარინ პირობებშია, რის ჩაუნებულია—მისი ხელმძღვანელი ენერგიულად შრომობს სამკითხველოს საკეთილდღეოდ სამკითხველოს ჰქონია 93 წევრი.

ოთხი თვის განმავლობაში წიგნი გაუტანია 529-ს; გაზეთის წასაკითხად შემოსულა 1689 კაცი. საზოგადოდ ქართულ წიგნებს ძალიან ეტანებიან აქაურ სკოლის მოწაფენი, მაგრამ სამწუხაროდ ცხირად, ხდება ხოდმე. რომ სამკითხველოში შემოდიან უმაწვილები თხოულობენ ამა, თუ იმ წიგნს მაგრამ ან სულ არ აღმოჩნდება სამკითხველოში ადნიშნული წიგნები ან კიდევ მარტო ერთი ცალი აქვთ, რომელიც შეეკვ კუტანიათ სხვებს, ამ რიგად გაუდაწეეტალი ბატარები ჰბრუნდებიან სახლში კარგი იქნება, რომ კეთილი ადამიანნი დაეხმარონ ასეთ საქმეს. ჯიხაიშს ბედნიერად ჰქონია განთადებული ინტელიგენტია, რომელიც გაბნეულია სხვა და სხვა ქალაქებში. ამან უნდა მოახდოს თავის სამშობლო კუთხეს და მეთვალეობა გაუწიოს სოფლის საკულტურო საქმეს.

საუბედურად ბაზრის ხალხსაც ეჯავრება ბიბლიოთეკა სამკითხველო, თორემ ესენი რომ თანაგრძნობით ეკიდებოდენ, სამკითხველოს საქმე უფრო კარგად წაიდოდა. დიდი ჯიხაიშის სამკითხველოს ამ ჟამად მოსდის შემდეგი კაზეთები—ეოველ დღიური „ჩვენი ერი“, „ბათუმის გაზეთი“, „აზრი“, „სასახლო გაზეთი“ და „იმერეთი“ ეოველ კვირეულ და ეოველ თვიური „თემი“, „შრომა“ და „ფიქრი“, ჟურნალები, კანონდება „ნაკადული“ „სასოფლო გაზეთი“ და სხვა. რუსეთიდან მოსდის მხოლოდ ერთი; გაზეთი „День“-ი.

ი. ჯიხაიშელი.

წერილი რედაქციის მიმართ

— —

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უფრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბატონ **ია კ რგარეთელს**, რომელმაც 25 მარტს მუშათა კუნდის მეერ გამართულ კონცერტზე უსასყიდლოთ მონაწილეობა მიიღო დეკლამაციის წაკითხვით.

თბ. მუშათა მომღერალ მგალობელთა გუნდის გაგეობა.

„ს ო რ ა ბ ა ნ ი ს“ გ ა მ ო ც ე მ ა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

სრული სამგზარეულო

შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძ'ს მიერ.

წიგნი დიდი ზომისაა და ჩართული აქვს მრავალი სურათი.

ფასი ყდით 1 მ. 40 კაპ. — უყდოთ—1 მ.

თხუზულებანი

გ უ-დე მოპასანისა

დასურათებული

ფასი ერთი მანეთი

მსურველს ფოსტით „ნალოენი პლატეფორმაც“ გაეგზავნება.

ადრესი: Тифлисъ, типографія »Сорапань« М Гачечиладзе.

ხელოვნურად — შეზავებული

საძეურნალო და — ხილეულობის წაღი

მიტროფანე ლალიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

„თემი-“ს რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი“

ავტორის სურათით და . ივანე გოგმართლის წერილით.

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფას-დადებით [illegible]ა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %. მისა[illegible]რთი: გაზ. „თემი-“ს კონტორა.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძველიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი	**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. ექ.-ქ ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. დ.** კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—12—$^1/_2$). **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და საშვ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირადოვიხა დ.** (ყოველ დღე) 11—12, **თოკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-$1^1/_2$ **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**ჯაგაბიშვილი ნ. ნ.** სამშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოლეი გ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ყურ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$. **ორემბოვსკი ნ. ხ.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კანის სნეულ.	**დიასამიძე ბ. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რნეგვიხათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და ბილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შუხამუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

გრამოფონები

„მონარქი“

საფაბრიკო საწყობი **გ. ს. დავიდოვისა**

გოლოვინის პრ. № 6 თბილისის საკრებულოს ქვეშ ტელ. 10-38

განყოფილება: ავლაბარი, კახეთის მოედანი, სახლი ვართანოვისა.

დიდ-ძალი ასარჩევი ფირფიტები და გრამოფონები საკუთარი მოდელების „იაკობის“ მარკისა

ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად

მიღებულია სადეკლამაციოდ ფირფიტები: მგოსანი **აკაკი**



წერეთელი კითხულობს თავისს ლექსებს.

ვსთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მარკას „Якорь“

---

*) ამ წერილს ვუთმობთ ადგილს იმ პრინციპის ძალით, რომლითაც მეორე მხარესაც ეძლევა უფლება გამოსთქვას თავის აზრი.

**) ეს აზრი შემცდარია. შეიძლება პოლონეთის ზოგიერთ მოვაჭრე ელემენტებს უხაროდეთ, ბაზარი გვაქვსო, მაგრამ საერთოდ პოლონელები, რამდენადაც ვიცით, ძალიან შეწუხებულნი არიან ამის გამო.

რედ.

ელექტრომბეჭდავი სტამბა „სარბაბანი“. მიდითოვის კუნძული. ტელეფონი 15-41